IBO
IB DIPLOMA PROGRAMME
PROGRAMME DU DIPLÔME DU BI
PROGRAMA DEL DIPLOMA DEL BI

M03/119/S(1)

**GEORGIAN A1 – STANDARD LEVEL – PAPER 1**
**GÉORGIEN A1 – NIVEAU MOYEN – ÉPREUVE 1**
**GEORGIANO A1 – NIVEL MEDIO – PRUEBA 1**

Monday 19 May 2003 (morning)
Lundi 19 mai 2003 (matin)
Lunes 19 de mayo de 2003 (mañana)

1 hour 30 minutes / 1 heure 30 minutes / 1 hora 30 minutos

---

INSTRUCTIONS TO CANDIDATES

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a commentary on one passage only. It is not compulsory for you to respond directly to the guiding questions provided. However, you may use them if you wish.

INSTRUCTIONS DESTINÉES AUX CANDIDATS

- Ne pas ouvrir cette épreuve avant d'y être autorisé.
- Rédiger un commentaire sur un seul des passages. Le commentaire ne doit pas nécessairement répondre aux questions d'orientation fournies. Vous pouvez toutefois les utiliser si vous le désirez.

INSTRUCCIONES PARA LOS ALUMNOS

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un comentario sobre un solo fragmento. No es obligatorio responder directamente a las preguntas que se ofrecen a modo de guía. Sin embargo, puede usarlas si lo desea.

ერთ-ერთ ტექსტს კომენტარი გაუკეთეთ:

ნაწყვეტი კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებიდან
<დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა>

< მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია, პიპა.

ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა, ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვრაბში ნახევარი ბიზანტიელებს ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.

თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, პიპა. რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშარებსა და მსტოვრებს.

სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართველები <აფხაზს> მეძახდნენ, ხოლო აფხაზები- <ქართლელების მსტოვარს> მიწოდებდნენ ბაგრატოვან ლაზს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს გვავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

ხალხი აზნაურებს გაძავდა. პიპა, ამიტომაც მშვენიერს <უცხოს> უწოდებდნენ. კარგ ქართულ თხილს <ბერძნულს>, ხოლო საუკეთესო ცერცვსაც <ბერძნულს>.

სიმთვრალეში კარგი ვაჟკაცები ვართ და კარგი რიტორები პიპა, ეგაა ოღონდ- სიფხიზლის დროს ჩადენილი ცუდკაცობა სიმთვრალეში გვავიწყდება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადები უკვე აღარ გვახსოვს გამოფხიზლებულთ.

ოდიდგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდიკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები.

<რა გატირებს! დამკარი შე ულმერთო, ეგ ხმალი, ბარემ გათავდეს ეს ცხოვრება. პიპა.>

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები ამ ქვეყნად.>

1(ა)----- როგორ განწყობას ჰქმნის მოცემული მონაკვეთი?
----- როგორ სტილისტურ ხერხებს იყენებს ავტორი ამ განწყობის შექმნისათვის?
------ როგორ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ავტორი აღწერილ მოვლენებისადმი?

797 „მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!
მეფეო, ნუ თუ წასლვამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოსა?!
ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა სამაბუნოსა,
და ჯირის-ჯირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა.

798 „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!
ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა,
და რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა?!

799 „რა უარეა მამაცსა, ომშიგან ჯირის-მხმეჭელსა,
შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი, ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
და სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

800 „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
და სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

801 „მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:
ცთების და ცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,
და თუ ვერა გნახე ცოცხალმან, ყოფამცა მქონდა ქამისად.

802 „თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
და მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე, მლმობელმან.

შოთა რუსთაველი "ვეფხისტყაოსანი"

"ანდერძი ავთანდილისა"

--- როგორია მოცემული ლექსის ძირითადი აზრი? რატომ ვფიქრობთ ასე?



--- როგორ განწყობას ქმნის პოეტი და რა ხერხებით?